

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
GEORGIAN BAR ASSOCIATION
WWW.GBA.GE



GBA-Newsletter

ივლისი 2016

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია სამომავლო
პრიორიტეტებს განსაზღვრავს



27-28 ივლისს ლოპოტაზე გაიმართა სამუშაო შეხვედრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხებზე. შეხვედრა გახსნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ევროკავშირის წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრაზე განხილულ საკითხებს შორის იყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2014-2018 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანები და მათი განხორციელება.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ადვოკატების წინაშე არსებული გამოწვევების, ადვოკატთა უფლებების დაცვის, მართლმსაჯულების პროცესში ადვოკატის როლის გაძლიერების, ადვოკატთა პროფესიული განათლებისა და ეთიკის შესახებ.

დიდი ყურადღება დაეთმო ისეთი საკითხების განხილვას, როგორც ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური განვითარება და ფინანსური მდგრადობა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სამუშაო შეხვედრა გაიმართა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, ევროკავშირისა და გაეროსერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით სამოქალაქო მართლმსაჯულების საპროცესო საკითხებზე დისკუსია გაიმართა



7 ივლისს სასტუმროში „Rooms“-ში ადვოკატებმა და მოსამართლეებმა, Bench-Bar-ის ფორმატში, დისკუსია გამართეს სამოქალაქო სამართალწარმოების ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: ზიანის ანაზღაურების სამართებრივი ასპექტები დელიქტურ ვალდებულებებში, სარჩელის უზრუნველყოფის და უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება (შებრუნების უზრუნველყოფა), მტკიცებულებათა შეგროვების და მტკიცების ტვირთის გადანაწილება შეჯიბრობითობის პრინციპის კონტექსტში.

Bench-Bar-ის მუშაობას ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი უძღვებოდა. შეხვედრა აქტიური დისკუსიის ფორმატში წარიმართა და აღინიშნა, რომ ასეთი ღონისძიებები, სხვადასხვა იურიდიული პროფესიების ჩართულობით, აუცილებელია ქვეყანაში ხარისხიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის.

შეხვედრა მხარდაჭერილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის მიერ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრები ბათუმში და სამტრედიაში იმყოფებოდნენ



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებმა აჭარაში და სამტრედიაში მოღვაწე ადვოკატებთან გასვლითი შეხვედრა გაიმართეს. სხდომას ორმოცამდე ადვოკატი ესწრებოდა, სადაც განხილულ იქნა ეთიკის კომისიის კოლეგიებს შორის ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების პრობლემატიკა. შეხვედრის განმავლობაში, კომისიის წევრებმა ადვოკატებთან ერთად განიხილეს ისეთი თემები როგორც არის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის ვალდებულება, ადვოკატებს შორის ურთიერთობა, ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობის ვალდებულება. ადვოკატებთან ერთად შეთანხმდნენ, რომ მომავალში ხშირი შეხვედრები გამართონ ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით.

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მედიასთან შეხვედრა გაიმართა



15-16 ივლისს, კახეთში მედიაწარმომადგენლებისა და სამართლის პროფესიონალების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ აქცენტები გაკეთდა განხორციელებული საქმიანობის შესახებ ასოციაციის წევრების უფლებების დაცვის და ასოციაციის როლის გაძლიერების კუთხით, საერთაშორისო ურთიერთობებზე, ადვოკატთა პროფესიული განვითარებისა და პროფესიაში შემომსვლელთათვის ახალი სტანდარტის დადგენის შესახებ.

ჟურნალისტებს ჩაუტარდათ სემინარი ჟურნალისტური გამოხატვის თავისუფლება და უფლება საქმის სამართლიან განხილვაზე -უდანაშაულობის პრეზუმფცია, სასამართლოს მიუკერძოებლობა, მართლმსაჯულების უზურპაცია. სამართალწარმოების კონტექსტში ჟურნალისტური გამოხატვის თავისუფლება და უფლება პირადი ცხოვრების დაცულობაზე. სემინარს ექსპერტი ნანა მჭედლიძე უძღვებოდა.

შეხვედრა ორგანიზებული იყო ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტების მიერ - „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“ და „მედიის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“.

სასწავლო ცენტრი განხორციელებული ღონისძიებები

თბილისი:

- 6, 7, 8 ივლისი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- 8 ივლისი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;
- 12 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 15 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 16 ივლისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 18 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 23 ივლისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები;
- 24, 25, 26 ივლისი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ საკითხები;
- 25 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 29, 30, 31 ივლისი – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ საკითხები.

ქუთაისი:

- 8 ივლისი – საარბიტრაჟო განხილვის თავისებურებანი და უპირატესობები;
- 13 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 14 ივლისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები;
- 20 ივლისი – ტრეფიკინგი, მის წინააღმდეგ ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები;
- 20 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 23 ივლისი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 27 ივლისი – მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ.

ბათუმი:

- 5, 6 ივლისი – სამართლებრივი წერა;
- 9 ივლისი – საარბიტრაჟო განხილვის თავისებურებანი და უპირატესობები;
- 12, 13 ივლისი – შრომის უფლება;
- 15 ივლისი – ტრეფიკინგი, მის წინააღმდეგ ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები;
- 16 ივლისი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები;

- 17 ივლისი – ტრეფიკინგი, მის წინააღმდეგ ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები;
- 18 ივლისი – ტრეფიკინგი, მის წინააღმდეგ ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები.

ანაკლია:

- 16 ივლისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.

ზუგდიდი:

- 19 ივლისი – ტრეფიკინგი, მის წინააღმდეგ ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები.

ახალციხე:

- 30 ივლისი – ტრეფიკინგი, მის წინააღმდეგ ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები.

- 31 ივლისი – ტრეფიკინგი, მის წინააღმდეგ ბრძოლა, რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები.

სასწავლო ცენტრი 2016 წლის აგვისტოში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები

თბილისი:

- 1 აგვისტო – საარბიტრაჟო განხილვის თავისებურებანი და უპირატესობები.

სასწავლო ცენტრი 2016 წლის სექტემბერში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები სპეციალიზებული კურსები და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები

- 1 სექტემბრიდან – 15 სექტემბრამდე – ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაცია.
- 1 სექტემბრიდან – 15 სექტემბრამდე – ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი კურსებისთვის რეგისტრაცია.

თბილისი:

- 8 სექტემბერი – წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 9 სექტემბერი – საგადასახადო სამართალი.
- 10 სექტემბერი – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.
- 11 სექტემბერი – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.
- 14 სექტემბერი – წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 16 სექტემბერი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები.
- 17 სექტემბერი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.
- 21 სექტემბერი – წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 28 სექტემბერი – წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 30 სექტემბერი – სახელმეკრულებო სამართალი.

ქუთაისი:

10 სექტემბერი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები.

16 სექტემბერი – წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.

22 სექტემბერი – წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.

ბათუმი:

10 სექტემბერი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.

26 სექტემბერი – წინასასამართლო სხდომა და მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708 ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33/36

ეთიკის კომისია

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებათა, რეკომენდაციათა განახლებული კრებული გამოიცა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია აგრძელებს პროფესიული ეთიკის საკითხებზე შეფასებების გამოცემის ტრადიციას და ამჯერად განმარტებებს 2014-2016 წლების გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა მიხედვით აქვეყნებს. ეთიკის კომისიის საქმიანობის პირველი გამოცემა, ეთიკის კომისიის 2010-2013 წლების პრეცედენტებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რომლითაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკით დაინტერესებულ პირებსმოწესრიგებული სახით მიეწოდა კოდექსის თითოეული მუხლის შესახებ კომისიის განმარტებები, 2013 წელს გამოქვეყნდა. პროექტი განხორციელდა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა“ ევროკავშირის პროექტის “Human Dynamics” ფინანსური მხარდაჭერით.

წლების მანძილზე პრაქტიკამ აჩვენა, რომ საჭიროა ადვოკატები სისტემურად იყვნენ ინფორმირებული თუ რას აკეთებს ეთიკის კომისია ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და კლიენტთა ინტერესების დაცვისათვის. წინამდებარე გამოცემა განკუთვნილია, ძირითადად, ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის, თუმცა მისი არსებობა და ამ ტრადიციის გაგრძელება მნიშვნელოვანია როგორც მოქმედი, ასევე, მომავალი, ახლად ასარჩევი ეთიკის კომისიისათვის და უმაღლესი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, სადაც მიმდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კურსის სწავლება სტუდენტებისათვის.

ეთიკის კომისია მადლიერებას გამოხატავს ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკის, უკრაინის და ბელორუსიის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო“ ფარგლებში შექმნილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის პროექტის მიმართ, რომლის დახმარებით შესაძლებელი გახდა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის უახლესი, 2014-2016 წლების ეთიკის კომისიის პრაქტიკის ორგანიზებული სახით მიწოდება.

გამოცემა ხელმისაწვდომია ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოცემათა განყოფილებაში [შემდეგ ლინკზე](#)

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2015w-sisxli-krebuli1-4.pdf>

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-samoqalaqo-krebuli2.pdf>

ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2016w-administr-krebuli2.pdf>

თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: info@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: info.qutaisi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: info.telavi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: info.batumi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33